სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030669486383116

29 / იანვარი / 2016 წ. **თბილისი #06-10/ო**

„2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით გათვალისწინებული „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესყიდული ვაქცინების, შრატების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებისა და ასაცრელი მასალების მიმღებად დაწესებულებების რეგისტრაციის ფორმების და მათი შევსების წესის დამტკიცების თაობაზე

„2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილების დანართი #2 -ის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის №107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებით დამტკიცებული „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესყიდული ვაქცინების, შრატების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებისა და ასაცრელი მასალების მიმღებად დაწესებულებების რეგისტრაციის ფორმები და მათი შევსების წესი თანდართული დანართი №1/ი, №2/ი, №3/ი-ის შესაბამისად.
2. დაევალოს, ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ეკატერინე ქავთარაძე.
4. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივნისის №308 დადგენილებით გათვალისწინებული „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესყიდული ვაქცინების, შრატების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებისა და ასაცრელი მასალების მიმღებად დაწესებულებების რეგისტრაციის ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2015 წლის 22 ივლისის №06-129/ო ბრძანება.
5. ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის პირველი მარტიდან.
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე